



კვლ-ახალი კანდიდატების არასახლი დაპირებები ქუთაისს

„სამართლიანობისა და თანასწორობის“ პრინციპების სახელით საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ქუთაისში სამი მაჟორიტარული ოლქი შეიქმნა.

შესაბამისად, ქუთაისელები და თერჯოლის რამდენიმე სოფელი 3 მაჟორიტარს არჩევენ. პარტიებმა უკვე წარადგინეს თავთავიანი კანდიდატები. ქუთაისის ინტერესების დაცვა 2016 წელს არჩეულ პარლამენტში რამდენიმე დამოუკიდებელ კანდიდატსაც სურს. საერთო ჯამში ქუთაისელთა გული მოგებას 20-მდე კანდიდატი შეეცდება.



კანდიდატების უმრავლესობა ადგილობრივები არიან, ერთადერთი „გარე ძალა“ გიგი წერეთელია, რომელიც ნაციონალური მოძრაობიდან ქუთაისის #49 მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს.

უმრავლესობა მამაკაცია, მხოლოდ ხუთი ქალბატონი იბრძოლებს გამარჯვებისთვის. აქედან ორი დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით. ქართულმა ოცნებამ, ნაციონალურმა მოძრაობამ და პაატა ბურჭულაძის პარტიამ ქუთაისისთვის ვერცერთი ქალი კანდიდატი გამოიმეტეს, თავისუფალი დემოკრატებისა და პატრიოტთა ალიანსის სამ-სამი კანდიდატიდან თითო ქალი-კანდიდატია. რაც შეეხება რესპუბლიკელებს, გენდერული ბალანსი აქაც დარღვეულია, ოღონდ არატრადიციულ ასპექტში – ქუთაისში მხოლოდ ერთი მაჟორი-

ტარი ჰყავთ და ისიც ქალბატონია.

„ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოდან“ ქუთაისელების ნდობის მოპოვებისთვის გენადი მარგვე-

ლაშვილი, კობა ნარჩემაშვილი, და დიმიტრი მხეიძე იბრძოლებენ.

ანდრეა რაზმაძის სახელობის ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლის დირექტორი

გენადი მარგველაშვილი ქუთაისის #47 მაჟორიტარულ ოლქში იყრის კენჭს.

საარჩევნო კამპანია კანდიდატად დასახელების თითქმის პირველი დღე-

დანვე დაიწყო. მისი მთავარი დაპირება დასაქმების პრობლემის მოგვარებაა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

პარტიული სიები გენდერულ ჭრილში

მას შემდეგ რაც "2015 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მხარი არ დაუჭირა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფის მიერ წარდგენილ საკანონმდებლო წინადადებას გენდერული კვოტირების შესახებ, სლოგანი „მეტი ქალი პოლიტიკაში“ მხოლოდ პარტიების კეთილი ნების იმედდასა და რჩა.

დღესდღეობით, საკანონმდებლო ორგანოში გენდერული ბალანსის თვალსაზრისით 185-ეპქვენიდან საქართველო 115-ე ადგილს იკავებს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად, ქალებმა მანდატების მხოლოდ 12% მოიპოვეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალები, რომლებიც საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი(52%) არიან, 2012 წლის მოწვევის პარლამენტში 18 ხმით იყვნენ წარმოდგენილნი.

ზემოთ აღნიშნული უარყოფილი წინადადება პარტიულ სიებში 50%-იან გენდერულ კვოტირებას გულისხმობდა, რაც საქართველოს პარლამენტში ქალთა მინიმუმ 25%-იან წარმომადგენლობას უზრუნველყოფდა. პირდაპირ თუ ირიბად მაშინ პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კონვენციის კომიტეტის

2014 წლის რეკომენდაციები არ გაითვალისწინა, რომელიც პირდაპირ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას გამოიყენოს სპეციალური ზომები ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის გაზრდისათვის. არ გაითვალისწინა ხალხის ნებაც – 2014 წლის ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევამ გამოავლინა, საქართველოს მოსახლეობის 68% მხარს უჭერს გენდერულ კვოტირებას და სურს, იხილოს მეტი ქალი ქართულ პოლიტიკაში.

კვოტირება უარის თქმამ პარტიები ვალდებულელებიდან გაათავისუფლა, სამაგიეროდ 30: ფინანსურ წახალისებას მიიღებენ ის პარტიები, რომლებმაც პარტიის ყოველ ათეულში 30: განსხვავებული სქესის ნომინირებას მოახდინეს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის პარტიების მიერ წარდგენილი სიების პირველ ათეულში 30: ბალანსი მეტ-ნაკლებად დაცულია.

მმართველი პარტიის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ პირველ ათეულში ოთხი ქალბატონია. სიის მე-4 ნომერი იურისტი თამარ ჩუგოშვილია, მე-7 თამარ ხულორდავა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ყოფილი პირველი მოადგილე, რომელიც ევროკავშირის წარმომადგენლობაში კანონის უზენაესობის პროგრამების მენეჯერად წლების განმავლობაში მუშაობდა, მე-9 – პრესათან და საზოგადოებასთან ურთერთობის მენეჯერი სოფო ქაცარავა და მე-10 ნომერი ინტელექტუალთა კლუბის კაპიტანი ირინა ფორუძე.

„ნაციონალური მოძრაობის“ სის პირველ ათეულში სამი ქალბატონია. თავდაპირველად სიის მეორე ნომერი პოლიტოლოგი ელენე ხომტარია გახლდათ, თუმცა, ცოტა მოგვიანებით მან მესამე პოზიციაზე სიაში მიხეილ სააკაშვილის მეუღლის სანდრა რულუცის

ჩასმის შემდეგ გადაიწია. ნაციონალების ათეულში კიდევ ერთი ქალბატონია იურისტი და პოლიტიკოსი, გამოცდილი პარლამენტარი სალომე სამადაშვილი სიის მე-8 ნომერია.

„რესპუბლიკურ პარტიის“ ლიდერი ქალბატონები სიის ათეულში საბატო ადგილებს იჭერენ. პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამხიძე – მე-2 ადგილი, მე-4 – თინა ხიდაშელი, მე-6 – თამარ კორძაია, მე-8 თინათინ ხიდაშელი. ყველა რესპუბლიკელი ქალი კანდიდატი საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობია, ფაქტობრივად „რესპუბლიკელები“ ერთადერთ პარტიად შეიძლება, ჩაითვალოს, ვისაც ქალების მოძიება გენდერული ბალანსის დაცვისთვის არ დასჭირდებოდა.

ქალბატონები უდგას სათავეში „ნინო ბურჯანაძე – დემოკრატიული მოძრაობისა“ და „პატრიოტთა ალიანსის“ პროპორციულ სიებს. ნინო ბურჯანაძის პარტიის ათეულში მის გარდა, კიდევ ორი ქალბატონია – 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ცესკოს თავმჯდომარე ნანა დედარიანი და მანანა სალუქვაძე.

„რაც შეეხება პატრიოტთა ალიანსის“ სიას, ათეულში სამი ქალბატონია, მათ „სიას რაინდული“ სიაც შეიძლება ვუწოდოთ, რადგან პირველი, მეორე და მესამე ადგილზე ირმა ინაშვილი, ადა მარშანია და ნატო ჩხეიძეა. ქალბატონ-

ნებს მოჰყვებიან ბატონები.

თავისუფალი დემოკრატების სიაც 30: იანი გენდერული ბალანსით არის წარმოდგენილი: ნინო გოგუაძე, თამარ კეკელიძე და მაია ფანჯიკიძე, სიის მე-3, მე-7 და მე-9 ნომრად არიან.

ბლოკის „პაატა ბურჭულაძე – სახელმწიფო ხალხისათვის“ საარჩევნო სიის პირველი ათეული 100:–ით არდევს გენდერულ ბალანსს – არცერთი ქალი ათეულში.

რაც შეეხება მაჟორიტარ კანდიდატებს – 73 მაჟორიტარულ ოლქში სხვადასხვა პარტიდან 300-მდე კანდიდატა წარდგენილი, მათგან მხოლოდ 11-ია ქალი.

ქალთა მონაწილეობა წარმომადგენლობით ორგანოში არის გენდერული თანასწორობის ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები 2012 წლის მიჩვენებულს პროცენტულად გაზრდის.

ბაკა ჩინგიზიძე



სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი-დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.

ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შეესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

PS news.ge ISSN 1987-7056 9771987705004

მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმა

„ქართული ოცნების“ მმართველობის განვლილ 4 წელიწადში ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი შეიქმნა. ეკონომიკა და ბიზნესი გათავისუფლდა სახელმწიფო წინააღმდეგობის, საკუთრების უფლების განუზღვრელი დაცვით და კერძო სექტორზე ორიენტირებული გადაწყვეტილებებით შეიქმნა სტაბილური და უსაფრთხო ბიზნეს გარემო, მოხდა ფუნდამენტური წინსვლა დემოკრატიული განვითარების ყველა მიმართულებით, საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ განვითარებასა და სოციალური დაცვის პოლიტიკას, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ოჯახების გალარების თავიდან აცილება უზრუნველყო. ყველა ფუნდამენტური მიმართულებით საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა მსოფლიოში გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციების რეიტინგებში.

„ქართულმა ოცნებამ“ შექმნა თანამედროვე, დასავლური ტიპის ეკონომიკის მშენებლობის წინაპირობა და ფუნდამენტი. ასევე, ჩვენ დავამტკიცეთ, რომ სოციალური პოლიტიკა უმნიშვნელოვანესია ჩვენს პრიორიტეტებში და კვლავაც ვავაგრძელებთ სოციალურ სოლიდარობას მანამ, სანამ ჩვენს ქვეყანაში იქნებიან ადამიანები, რომლებიც ამას საჭიროებენ.

დღეს, უკვე დროა, რომ განხორციელდეს მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილება ქვეყნის ეკონომიკაში, მოხდეს სერიოზული გარღვევა და დაიწყოს ეკონომიკის სწრაფი განვითარების ეტაპი. სწორედ ამ მიზნით, „ქართულ ოცნებას“ გააჩნია ეკონომიკური ზრდის დაჩქარების 4 პუნქტიანი გეგმა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ გამოწვევებს. აღნიშნული გეგმით, ჩვენ გუნდი ფოკუსირებას მოახდენს ზუსტად იმ მიმართულებებზე, რომლებიც მოიტანს თვისობრივ ცვლილებებს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

ქვეყნის სწრაფი განვითარებისთვის, 4 პუნქტიანი გეგმით „ქართული ოცნება“ განახორციელებს:

- ეკონომიკური რეფორმას;
- განათლების რეფორმას;
- ქვეყნის განვითარებას ოპტიმალური სივრცითი მოწყობით;
- მმართველობის რეფორმას.

ეკონომიკური რეფორმა ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებაზე და

მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით ვაგვაჩნია გადაწყვეტილებების მთელი პაკეტი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიზიდველს და მომგებიანს გახდის. შეიქმნება მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები, ბიზნესი აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. აღნიშნული რეფორმით, ბიზნესსექტორში დარჩება ასეულობით მილიონი ლარი, რაც წახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკური ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. ჩვენმა გუნდმა განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, რომელიც წინა ხელისუფლების რეპრესიული მანქანის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წახალისებს ინვესტიციებს. სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვეღარ მოხდება ბიზნესის ანგარიშების დაყადება; კომპანიების საგადასახადო შემოწმების ვადა იქნება რეგლამენტირებული და გაუქმდება ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. აღნიშნული ნაბიჯები ბიზნესს მისცემს მეტ თავისუფლებას და გააჩნის განვითარების დამატებით პოტენციალს ეკონომიკაში.

„ქართული ოცნების“ მნიშვნელოვანი მონაპოვარია ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა. ქართულ სინამდვილეში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც ქვეყანაში გაჩნდა „სტარტაპების“ დაფინანსების ინსტრუმენტი. არცერთი ბიზნეს-იდეა, რომელსაც გააჩნია განვითარების პოტენციალი არ რჩება დაფინანსების გარეშე. „სტარტაპების“ დაფინანსება იქნება სწრაფი განვითარების 4 პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

განხორციელდება განათლების რეფორმა. დაინერგება გერმანული დიპლომატიის სისტემა, სადაც კერძო სექტორთან ერთად მოხდება კადრების გადამზადება და კვალიფიკაციური კადრების მოსამზადებლად სახელმწიფო და საწარმოების გაინაწილებული კომპეტენციები, პროფესიული განათლების თეორიული და საწარმოო პრაქტიკის კომპონენტების მიმართულებით.



შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეულ პრიორიტეტულ მიმართულებებს და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავების, განხორციელებისა და სტრუქტურული შეფასების პროცესებში. შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. უწყვეტი განათლების პრინციპების დანერგვა პროფესიულ განათლებას ხელმისაწვდომს გახდის არა მხოლოდ სასკოლო ასაკის ახალგაზრდებისთვის, არამედ, ასაკის შეუზღუდავად, ყველა იმ პირისთვის, ვისაც ახალი პროფესიის დაუფლება სურს. სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური.

ამაღლდება პედაგოგების კვალიფიკაცია, რის შედეგადაც გაიზრდება საშუალო განათლების ხარისხი.

უმალესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები.

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით, მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო დარგების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

განათლების რეფორმა უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში.

სივრცითი მოწყობის სქემა იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. ქვეყნის განვითარების პოტენციალის ოპტიმალურ ათვისებას გადაწყვეტილი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობაში. სწორედ ამიტომ, სივრცითი მოწყობა არის სწრაფი ეკონომიკური ზრდის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილი.

სწორი სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვით გავაუმჯობესებთ ურთიერთკავშირს ქალაქსა და სოფელს შორის, ხელს შევუწყობთ ტურიზმის განვითარებას, გაძლიერებთ ევროპის და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის და

ლოჯისტიკურ ფუნქციას. სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში მომზადდება ქალაქების და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები, წერტილი დაესმება ქაოტურ განაშენიანებას. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას.

მთელი საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისთვის და ვადადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვისთვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მალაშმიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებას და რეგიონების დაკავშირებას. სწორი დაგეგმვებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის მნიშვნელობა.

მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების დახვეწას და უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის ჩვენ გვჭირდება მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. რეფორმის ფარგლებში, შეიქმნება ერთიანი „ფორმალისი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი ბიზნესისთვის საქმიანობის გამარტივების მიმართულებით. ბიზნესი დაზოგავს დროს და რესურსს. მთავრობის გადაწყვეტილებების მიღების დრო იქნება რეგლამენტირებული, მთავრობის ადმინისტრაციაში შეიქმნება-ტრუქტურული თეორიული, რომელიც მთავრობის წევრთა მიერ გადაწყვეტილების მიღების ხანგრძლივობის მონიტორინგს განახორციელებს. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექ-

ტიანი მონიტორინგის საშუალება. მოხდება ონლაინ მომსახურებების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია.

აღნიშნული რეფორმები უზრუნველყოფს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდას და თვისობრივ გარდაქმნას ქვეყნის განვითარებაში. მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სწრაფი განვითარების მიზნის მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტიან აღსრულებას.

4 პუნქტიანი გეგმის განხორციელებით ჩვენ მივიღებთ თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანას, შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი ადამიანური რესურსით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნეს გარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით. სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებს უფრო სწრაფ განვითარებას და კეთილდღეობის ზრდას. ეს არის გზა, რომელიც თვისობრივ გარდატეხას შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში და მას სწრაფი განვითარების რესურსებზე გადაიყვანს.

საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველად მოხვდა საშუალოზე მაღალ-შემოსავლიან ქვეყნებში. მაგრამ, ამისთვის ქვეყანას 25 წელი დასჭირდა. ამ ტემპებით განვითარება ხილულ მომავალში ქვეყანას ვერ მიიყვანს კეთილდღეობის მაღალ დონემდე. საჭიროა თვისობრივად ახალი მიდგომა, რომელიც უზრუნველყოფს განვითარების შეუქცევად პროცესს. საჭიროა აქცენტების გადატანა გრძელვადიან განვითარებაზე, ნაცვლად პოპულისტური იდეებისა, რომელიც მიმართულია ამომრჩევლის გულის მოგებაზე და არა ქვეყნის წინსვლაზე.

ჩვენ, სწორედ ჩვენ 4 პუნქტიანი გეგმით მოვახდინეთ თვისობრივ გარდატეხას ქვეყნის ეკონომიკაში და დავიწყებთ განვითარების ახალ, სწრაფ ეტაპს. მმართველობის გასული 4 წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით საფუძველი იმისთვის, რომ თითოეულმა ოჯახმა იკამნოს კეთილდღეობა, მმართველობის შემდგომ 4 წელიწადში, კონკრეტული გეგმით, ჩვენ მივაღწევთ ამ მიზანს.



ინფორმირებული არჩევნისთვის 2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის ისტორია საქართველოში

არჩევნების მომზადება, გამართვა და არჩევნების შედეგების შეჯამება არჩევნების მარეგულირებელი ორგანიზაციის ძირითადი დანიშნულებაა.

არჩევნების მარეგულირებელი ორგანიზაციის იერარქია, მათი შექმნის წესი და უფლებამოსილება სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია და საოლქო საარჩევნო კომისიები მუდმივმოქმედი ორგანიზებია, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიები – დროებითი.

დაკომპლექტების წესის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაცია შეიძლება იყოს: ა) პროფესიული ნიშნით დაკომპლექტებული (წევრები პროფესიული ნიშნით შერჩეული პირები ან საზოგადოებისთვის მისაღებობის პრინციპით შერჩეული უპარტიო ექსპერტები არიან); ბ) პარტიული ნიშნით დაკომპლექტებული (წევრებს კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები ნიშნავენ); გ) შერეული ტიპის (მასში შედიან, როგორც პარტიული ნიშნით დანიშნული, ისე, პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრები). საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისგან. ის წარმოდგენილია ცენტრალიზებული სისტემის სახით, მოიცავს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) და მის აპარატს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიას (უსკო) და მის აპარატს, საოლქო საარჩევნო კომისიებს და საუბნო საარჩევნო კომისიებს. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტების წესის მიხედვითაც შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის განეკუთვნება. საარჩევნო კომისიებში 6 წევრი პროფესიული ნიშნით ირჩევა, ხოლო 7 წევრი პარტიული ნიშნით ინიშნება. საარჩევნო კომისიის წევრი, მიუხედავად იმისა, პროფესიული ნიშნითაა შერჩეული თუ პარტიული ნიშნითაა დანიშნული, თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, კანონს და შესაბამის კანონქვემდებარე აქტებს.

ცესკო უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს.

ცესკო შედგება თავმჯდომარისა და 12 წევრისაგან. ცესკოს 5 წევრს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით ირჩევს საქართველოს პარლამენტი. ცესკოს თითო წევრს ნიშნავენ ის პოლიტიკური გაერთიანებები, რომლებიც, "მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, დაფინანსებას იღებენ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცესკოს თავმჯდომარის/წევრის უფლებამოსილების ვადაა 5 წელი.

საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დაარსებიდან დღემდე ჰყავდა 16 თავმჯდომარე, აქედან, 2 ქალი და 14 კაცი: 1. ირაკლი ჟორდანიანი; 2. არჩილ ჭიჭინაძე; 3. მერაბ ალექსიძე; 4. ივანე კიკნაძე; 5. ჯუმბერ ლომინაძე; 6. ვიქტორ ზესაძე (მოვალეობის შემსრულებელი); 7. ნანა დევედარიანი; 8. ზურაბ ჭიბერაშვილი; 9. დიმიტრი ქიტოშვილი; 10. ზურაბ ნონიკაშვილი (მოვალეობის შემსრულებელი); 11. გია ქავთარაძე; 12. ჯურაბ ჩალაგაშვილი; 13. ალექსანდრე ღონღაძე (მოვალეობის შემსრულებელი); 14. ლევან თარხნიშვილი; 15. ზურაბ ხარატიშვილი; 16. თამარ ფვანია.

1918 წლის ბოლოს, საქართველოს პირველი პარლამენტი შეჯერდა საერთო პოზიციებზე – მათ მიიღეს გადაწყვეტილება დამფუძნებელი კრების საარჩევნო კომისიის ჩამოყალიბების შესახებ და საქართველოში საკანონმდებლო ორგანოს პირველი არჩევნებისთვის მომზადებას შეუდგნენ.

1918 წლის 22 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააკომპლექტა სამაზრო და საოლქო კომისიები, მათ კი, თავის მხრივ, საუბნო კომისიები. ყველა დონის კომისიას გაეგზავნა შესაბამისი ფინანსური სახსრები.

ცენტრალური, სამაზრო, საოლქო და საუბნო კომისიები კომპლექტებოდა პარტიების წარმომადგენლებით. მასში შედიოდნენ სხვადასხვა პარტიის სიებში წარმოდგენილი კანდიდატებიც; მაგალითად, კომისიის თავმჯდომარეობდა ალექსანდრე ლომთათიძე, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიაში მეთერთმეტე ნომერი იყო და შემდგომში, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (ვიცე-სპიკერად) იქნა არჩეული.

ასევე, კომისიის ხაზინადარი გახლდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მე-4 ნომერი გიორგი გვაზავა. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ პარტიებს მისცა საშუალება, თუ მათ ექნებოდათ სურვილი, თავად დაეებჭათ ბიულეტენები; სხვა შემთხვევაში კომისია უზრუნველყოფდა საარჩევნო დოკუმენტების გამოცემას. კომისიის გა-

დანყვეტილებით, ბიულეტენები დაიბეჭდა ქართულ, რუსულ, სომხურ და თათრულ ენებზე.

24 იანვრიდან კომისია მოქალაქეებს მოუწოდებდა საარჩევნო სიებში საკუთარი თავის გადაწერვას.

27 იანვარს, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაასრულა საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაცია და ოფიციალურ რეგისტრაციაში გაატარა 15 პოლიტიკური სუბიექტი.


30 იანვარს, კომისიამ დააზუსტა ოლქები, რომლებშიც სხვადასხვა გარემოების გამო არჩევნები ვერ ჩატარდებოდა. არჩევნები გადაიდო სოხუმის ოლქში, სახალხო საბჭოების და ერობების არჩევნების მიმდინარეობის გამო; ასევე, არჩევნები არ ჩატარდა ახალციხის, ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრაში საომარი მოქმედებების (ბორჩალოში სომხეთთან ომი, სამცხეში კი აჯანყების) გამო; არჩევნები უამინდობისა და დიდთოვლობის გამო გადაიდო სვანეთისა და თიანეთის მაზრებში.

14 თებერვალს, დილის 8 საათზე დაიწყო დამფუძნებელი კრების არჩევნები. უბნები საღამოს 8 საათზე იხურებოდა, ყუთები კი ილუქებოდა; 16 თებერვალს, 8 საათზე არჩევნები დასრულდა.

9 მარტს, დამფუძნებელი კრების ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სამაზრო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების საარჩევნო ოქმების საფუძველზე, დაამტკიცა არჩევნების შემაჯამებელი ოქმი.

დამოუკიდებლობის შემდეგ, ცესკოს პირველი თავმჯდომარე არჩილ ჭიჩინაძე იყო, რომელმაც 1991 წლის 31 მარტს, საქართველოს დამოუკი-

დემოკრატიის სერვისი!



2 51 00 51
www.cesko.ge

დებლობის აღდგენის რეფერენდუმთან ერთად, თვითმმართველობის პირველი არჩევნები, 26 მაისს კი პირველი საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. 1991 წელს, არჩილ ჭიჩინაძის მოადგილე ცესკოში გახტანგ ხმაღაძე იყო. სამხედრო გადატრიალების შემდეგ, შექმნილი სახელმწიფო საბჭოს ლეგიტიმაცია, 1992 წელს, ცესკომ ლევან ალექსიძის ხელმძღვანელობით მოახდინა. ალექსიძე თავად იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, არჩევნების შემდეგ კი, ათი წლის მანძილზე, საერთაშორისო სამართლის საკითხებში პრეზიდენტ შევარდნაძის მთავარი მრჩეველის თანამდებობა ეკავა. 1995-1996 წლებში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იყო ივანე კილურაძე (მათემატიკოსი, მეცნიერი, პოლიტიკოსი, დიპლომატი სოფელ ხიდისთავში, ჩოხატაურის რაიონში). 1997 წლიდან 2003 წლამდე, ცესკოს მენეჯერებათა დოქტორი, აკადემიკოსი ჯუმბერ ლომინაძე ხელმძღვანელობდა. 2003 წელს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ლომინაძე ახლადშექმნილი კოსმოსური სააგენტოს თავმჯდომარედ დანიშნა. შემდეგ იყო ყოფილი სახალხო დემოკრატიული ნანა დევედარიანი, რომელმაც 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები ჩატარა. რაც შეეხება ზურაბ ჭიბერაშვილს, ის ცესკოს თავმჯდომარეობის შემდეგ, თბილისის მერად დანიშნა. შემდეგ, მცირე ხნით, ცესკოს დიმიტრი ქიტოშვილი ხელმძღვანელობდა. მანამდე კი, შვიდი თვის

განმავლობაში – გია ქავთარაძე, რომელიც 2005 წლის 22 დეკემბერს, პრეზიდენტმა სააკაშვილმა იუსტიციის მინისტრად დანიშნა. გურამ ჩალაგაშვილს, 2006 წლის თებერვლიდან 2007 წლის აგვისტომდე ეკავა ეს თანამდებობა. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს კი, ცესკოს თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი იყო. ზურაბ ხარატიშვილი 2010 წლის იანვარში ხუთი წლის ვადით აირჩიეს. რაც შეეხება მოქმედ თავმჯდომარეს, თამარ ფვანია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2013 წლიდან ხელმძღვანელობს.

რაც შეეხება აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკო) მოქმედ თავმჯდომარეს, არჩილ მიქელაძეს, ის 2005 წლის 28 სექტემბერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრად, შემდგომ კი, ამავე კომისიის მდივნად. 2006 წლის 21 მარტს, არჩეულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

მომზადდა მამუკა მამალაძემ

გამოყენებული წყაროები:
civicusela.wordpress.com;
www.electionreforms.ge;
www.amerikiskhma.com;
matse.gov.ge
www.cesko.ge

კონსულტაციის მისაღებად ან შეკითხვების დასაყვეთად დაეკავშირეთ ცესკოს ცხელ ხაზზე: 251 555 907. ცესკოს მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას ქუჩა, სახლი N37. ცესკოს საიტის მისამართი: www.cesko.ge



კავკასიის ჟურნალისტიკა ცენტრისა და საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი "ინფორმირებული არჩევნისთვის – საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის" ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანხმობით.

